



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
ფედაშინის მეგობრები - საქართველო

გარემო და საზოგადოება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პერიოდული გამოცემა, № 1 (29) 2016 წელი



ნარჩენების პრობლემა საქართველოში

საქართველოში, იმ აქტუალურ და მწვავე პრობლემებს შორის, რომელიც გარემოს-დაცვით სფეროშია, ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნარჩენებს.

ნარჩენები ყრია ყველგან – ქალაქის ქუჩებსა თუ სოფლებში (გამონაკლისს თბილისის ცენტრალური უბნები წარმოადგენს), მიმდებარე ტერიტორიებზე, საავტომობილო და სარკინიგზო ტრასების პერიმეტრებზე, ხევებში თუ მდინარეთა კალაპოტებში. დაბინძურებულია ჰაერი, ნიადაგი, წყალი. ამავე დროს აკუმულირებული ნარჩენები ქმნიან ანტისანიტარიულ კერებს, რითაც იქმნება ინფექციის გადამტანი პარაზიტების გამრავლების კარგი პირობები და რაც თავისთავად, სხვადასხვა ინფექციური დაავადებების საშიშროებას წარმოადგენს.

ძალიან მძიმე მდგომარეობაა სოფლებში. სოფლის მოსახლეობა, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, მართალია ნაკლებ ნარჩენს წარმოქმნის (მგ. საკვების ნარჩენებს იყენებს შინაური პირუტყვის გამოსაკვებად, ნაკელს იყენებს სასუქად და ა.შ.), მაგრამ, იმ მცირედის შესაბამის ტერიტორიაზე განთავსებაც კი მოუგვარებელია. ამიტომ ეს ნარჩენი საბოლოოდ სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძირითადად კი ღელეებში, ხევებში და მდინარეებში აღმოჩნდება ხოლმე.

გარდა ამისა, თითქმის ყოველ დასახლებულ პუნქტთან ფუნქციონირებს მცირე ზომის არალეგალური ნაგავსაყრელები, რომელთა უმრავლესობა მდინარეების პირას არიან განთავსებული, რის გამოც წვიმებისა და წყალდიდობების დროს მდინარეებში ირეცხება დიდი რაოდენობით სხვადასხვა ნარჩენი, რაც ბუნებრივია დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს.



დღეისათვის საქართველოში მოქმედ ნაგავსაყრელებს მთლიანობაში უკავიათ 300 ჰექტარამდე მიწის ფართობი. ხშირად ნაგავსაყრელები დასაშვებ მანძილზე ახლოს მდებარეობენ დასახლებული პუნქტებიდან, მდინარეებიდან და ზღვის სანაპიროდან, რაც ქმნის ჰაერის, ნიადაგის, მიწისქვეშა და მიწისზედა წყლების დაბინძურების საშიშროებას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნაგავსაყრელებზე გარემოსდაცვითი მოთხოვნების უგულველყოფის გარდა (მიწის საიზოლაციო ფენა, წყალშემკრები თხრილები, საკონტროლო ჭები, ხანძრის თავიდან ასაცილებლად დასანოტივებელი ბრუნვითი

წყალმომარაგების სისტემა და ა.შ.), დარღვეულია უსაფრთხოების ყველაზე ელემენტარული ზომა – შემოღობვა. რის გამოც ტერიტორიაზე ადვილად შედიან და გადაადგილდებიან უცხო პირები და პირუტყვი (ხშირ შემთხვევაში იკვებებიან სახიფათო ნარჩენებით). არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ადამიანები

ნაგავსაყრელებზე თვითნებურად აგროვებენ მინისა და პლასტმასის ბოთლებს (რომლებიც ხშირად ისევ გაყიდვების სხვადასხვა ქსელში ხვდება), საყოფაცხოვრებო ნივთებს, ლითონებს და ა.შ.. ლითონების შეგროვებისას კი აღრიცხულია აფეთქების ფაქტებიც, სავალალო შედეგებით.



საქართველოში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა-განთავსების სისტემა მოშლილია. არ ფუნქციონირებს

ნარჩენების გადამუშავების ინდუსტრია, გამომდინარე აქედან, არც ნარჩენების დახარისხებას ექცევა არანაირი ყურადღება. და ეს მაშინ, როდესაც ქვეყნის მასშტაბით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოცულობა ყოველწლიურად შეადგენს 5,5 მლნ მ3 –ს და თანდათანობით უფრო მეტ ადგილს მოითხოვს განსათავსებლად.

არადა, საქართველო არის როტერდამის, სტოკჰოლმისა და ბაზელის კონვენციების მხარე ქვეყანა და შესაბამისად ვალდებულია შეასრულოს ამ კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებები.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად, საქართველოს პარლამენტმა 2015 წელს მიიღო „ნარჩენების მართვის კოდექსი (!)“. მართალია ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო ნარჩენების მართვის სისტემის მოსაწესრიგებლად, მაგრამ მთელი რიგი ხარვეზების გამო, კოდექსმა ვერ დაარეგულირა ამ სფეროში არსებული პრობლემები.

დღეს, საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემა არაეფექტურია და ის სრულად არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და სტანდარტებს. არასრულყოფილია და ზოგიერთ შემთხვევაში არ არსებობს ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების და განთავსების სანიტარული და ეკოლოგიური მოთხოვნები და ნორმები. არ ხდება ნარჩენების სეპარაცია, რეციკლირება და გადამუშავება. დანაგვიანებულია გარემო, ძალზე დაბალია საზოგადოების ცნობიერების დონე. რაც, სდაგრძნობლად უშლის ხელს ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარებას.

რა არის გასაკეთებელი?!

არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია, დაუყოვნებლივ შემუშავდეს:

- ნარჩენების მართვის სტრატეგია, სადაც გათვალისწინებული იქნება ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილების, მათი შეგროვების, გაუვნებელყოფის, გადამუშავების, განთავსების და ხელახალი გამოყენების მექანიზმები;


- კანონი „ნარჩენების შესახებ“, რომელიც მიმართული იქნება ისეთი პრობლემის მოგვარებაზე, როგორცაა საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების კლასიფიკაცია, შეგროვება, ტრანსპორტირება, რეციკლირება და ხელახალი გამოყენება. ასევე, მათი განთავსების საკითხები. კანონმა ასევე უნდა გაითვალისწინოს დებულებების შემუშავება: სხვადასხვა სახის ნარჩენების მართვაში ჯანმრთელობისა და ჰიგიენის სხვადასხვა ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებისა და ასევე სახიფათო ნარჩენების გადაადგილების და ნარჩენების წარმოქმნის ანგარიშგების სისტემის ჩამოყალიბების შესახებ.

მოქალაქეთა საყურადღებო!

დადგა ზაფხული და თითოეული ოჯახი ემზადება დასვენებისთვის. განსაკუთრებით აქტუალურია ეს თემა ბავშვებთან მიმართებაში. დასვენება და ჰაერის გამოცვლა ყველასთვის კარგია, მაგრამ ხშირად თითქოსდა „კარგ ჰაერზე“ გაყვანილი ბავშვები სხვადასხვა ინფექციური დაავადებებით ავადდებიან და მთელი წელი მათ გამოჯანმრთელებას უნდება. ეს კი ისევ თითოეული ჩვენთაგანის „დამსახურებაა“, ჩვენი - ვინც ასე უდიერად და სამარცხვინოდ ვეპყრობით გარემოს. კურორტებთან ახლომდებარე

მდინარეებს და ლელებს ვიყენებთ ნაგავსაყურელად, ზღვის სანაპირო ზოლი, ისევ ჩვენი წყალობით მოფენილია სხვადასხვა ნარჩენით. გულგრილად ვუყურებთ, თუ როგორ ტოვებენ ტყეში და მინდვრებში ნამუსრევს „მოპოკნიკეები“ და ყველას გვავიწყდება, რომ ანტისანიტარია მრავალი საშიში დაავადების გამომწვევია.

დაგროვებული და ჩახურებული ნარჩენი კარგი საკვები არეა სხვადასხვა ლპობის ბაქტერიების გამრავლებისათვის. ხშირად არასწორად საზღვრავენ, რომ წყალი თუ სასმელად არ გამოიყენება, მასში მოხვედრილი მავნე მომწავლავი ნივთიერებები არც თუ ისე სახიფათოა, მაგრამ ეს ასე არ არის, წყალი იხმარება მოსარწყავად, საქონლის დასარწყულებლად, ადამიანი თევზაობს, ბანაობს და ა.შ. ამდენად, დაბინძურებული წყლისგან მიყენებული ზიანი საკმაოდ მაღალ რისკებს შეიცავს და ხშირ შემთხვევაში შეიძლება ლეტალური შედეგიც გამოიწვიოს.



გვინდა შეგახსენოთ, რომ წყლის დაბინძურება მრავალ საშიშ დაავადებას იწვევს, მათ შორის:

დიზენტერია, მას “ჭუჭყიანი ხელების” დაავადებას უწოდებენ. დაავადება უფრო ხშირად იწვეება შემცივნებით, თავის ტკივილით, საერთო სისუსტით, ტემპერატურის მომატებით, ძლიერი, შეტევეთი ხასიათის ტკივილით მუცელში; ზოგჯერ გულისრევითა და ღებინებით; შემდგომში ძლიერი ფალარათით, სისხლიანი და ლორწოიანი განავლით.

ქოლერა – დაავადება შეიძლება გავრცელდეს როგორც წყლით, ასევე სურსათითა და საყოფაცხოვრებო-კონტაქტის გზით (უმნიშვნელო როლი) და გამოიწვიოს უძძიმესი დიარეა და გაუწყლოვნება; სხვა ნაწლავთა ინფექციებისაგან განსხვავებით ქოლერა ადვილად ვრცელდება, რაც აიხსნება გარემოში ავადმყოფის მიერ ძალიან დიდი რაოდენობით ვიბრიონის (გამომწვევის) გამოყოფით.

სალმონელოზი - რეგისტრირდება მისი როგორც ერთეული, ისე ჯგუფური შემთხვევები. ადამიანის ინფიცირება ძირითადად ხდება დაბინძურებული სურსათით, შესაძლებელია ძლიერ დაბინძურებული წყლის საშუალებითაც; ახასიათებს შემცივნება, ტემპერატურის მომატება, თავბრუსხვევა, გულისრევა, რომელიც სწრაფად ღებინებაში გადადის, ტკივილი მუცლის არეში, რასაც მალევე ერთვის ფალარათი უხვი, მყრალი სუნის, მომწვანო ან მუქი ყავისფერი სითხის შემცველი განავლით.

ამებიანი – ახასიათებს ზოგადი ინტოქსიკაცია (მოშხამვა), ფაღარათი, მსხვილი ნაწლავის წყლულოვანი დაზიანება, სხვადასხვა ორგანოებში (ღვიძლში, ფილტვში, თავის ტვინში, თირკმელსა და კანში) ჩირქგროვების განვითარება და მიდრეკილება ხანგრძლივი მიმდინარეობისადმი; ძალიან დამახასიათებელია განავლოვან მასებთან ერთად ანთებითი ლორწოს უხვად გამოყოფა, რომელსაც “ჟოლოს ჟელეს” შესახედაობა აქვს და ზოგჯერ სისხლიც ურევია (2005–2006 წლებში საქართველოში მისი მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა);

ვირუსული ჰეპატიტი A და E - ამ დაავადებებს ახასიათებს მსგავსი კლინიკური ნიშნები: დასაწყისში შესაძლებელია განვითარდეს კატარალური ჩივილები: შემცივნება, ტემპერატურის მომატება, სისუსტე, თავის ტკივილი, ხველა, ყელის ტკივილი, შემდეგ გამოვლინდეს: უმადობა, გულისრევა, ღებინება, სიმძიმის შეგრძნება მარჯვენა ფერდქვეშა არეში, შეკრულობა ან ფაღარათი, შარდის გამუქება, ღვიძლის გადიდება და სიყვითლე. შეიძლება დაავადება განვითარდეს უსიყვითლო ფორმითაც. აღსანიშნავია, რომ ვირუსული ჰეპატიტი A-80% დაბინძურებული სასმელი წყლით არის გამოწვეული.

სხვადასხვა ეტიოლოგიის **დარეული დაავადებები**, რომელთა კლინიკური ნიშნები მწვავე გასტროენტერალური სახით გამოიხატება.

ტყვიით მოწამვლა – შეიძლება დაფიქსირდეს ისეთი წყლის მოხმარებისას, რომელიც წყალში საწარმოებიდან ჩაედინება. დაავადების მიმდინარეობა შეიძლება გამოიკვეთოს ნერვული და რეპროდუქციული სისტემის დაზიანებით, ანემია, თირკმელების პრობლემები, მაღალი არტერიული წნევა. საშიშია ორსული ქალებისთვის - შესაძლებელია გამოიწვიოს ნაყოფის განვითარების პათოლოგიები.

ასე, რომ გაუფრთხილდით წყალს, მოერიდეთ მის დაბინძურებას და იცხოვრეთ ჯანმრთელ გარემოში!

კლიმატის ცვლილება და მისგან გამომწვეული პრობლემები

ჯერ ჯიდევ, 1979 წელს კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილ პირველ მსოფლიო კონფერენციაზე აღიარეს, რომ კლიმატის ცვლილება წარმოადგენს საფრთხეს კაცობრიობისთვის და საჭიროა ეფექტური ზომების გატარება, მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილებლად.

კლიმატის ცვლილებისათვის დამახასიათებელი მოვლენები, რომლებიც გამოწვეულია დედამიწაზე მიმდინარე გლობალური დათბობის პროცესებით, განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ის ყოველწლიურად უფრო მძაფრ ხასიათს იღებს და უდიდეს ზემოქმედებას ახდენს პლანეტაზე, როგორც ეკოლოგიური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კუთხით.

გლობალური დათბობა გამოწვეულია ადამიანის საქმიანობით და თავისი არსით არის დედამიწის ატმოსფეროს მიწისპირა ფენის და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის სწრაფი ზრდის პროცესი.

ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვეული ყველაზე დიდი პრობლემა არის ნახშირორჟანგის მომეტებული რაოდენობა ატმოსფეროში, რაც გამოწვეულია ოზონის ხვრელის, ბუნებრივი საწვავის, ტყეების გაჩეხვისა და სხვა მიზეზებით.

თითოეული ეს ფაქტორი მონაწილეობს მიკროკლიმატის ჩამოყალიბების პროცესში და შემდგომში აყალიბებს გლობალურ კლიმატს.

ბოლო საუკუნის განმავლობაში დედამიწის ზედაპირზე ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა გაიზარდა 0.74 ± 0.18 °C-ით. კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო ჯგუფის (IPCC) დასკვნით „დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა მე-20 საუკუნის შუა წლებიდან განპირობებულია ანთროპოგენური (ანუ ადამიანის საქმიანობით)



ბის შედეგად წარმოქმნილი) სათბურის აირების კონცენტრაციის ზრდით“, რომლის შედეგადაც ძლიერდება ატმოსფეროს სათბურის ეფექტი, რაც დედამიწის ქერქისა და ქვემო ატმოსფეროს გახურებას იწვევს.

ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა გამოიწვევს ზღვის დონის აწევას. გაიზრდება კლიმატური კატასტროფული მოვლენების სიხშირე და სიმძლავრე, შეიცვლება ნალექების რაოდენობა და განაწილება. შეიცვლება აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა, შემცირდება მყინვარები, გადაშენდება ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი სახეობები, გაიზრდება დაავადებათა რიცხვი.

ჯერჯერობით უცნობია დედამიწის რომელი რეგიონი უფრო მეტად დაზარალდება ამ ცვლილებების შედეგად. მიუხედავად ამისა, საშიშროების მნიშვნელობის გათვალისწინებით სახელმწიფოთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა კიოტოს ოქმს.



ოქმი წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას და 1997 წელს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის ფარგლებში იაპონიის ქალაქ კიოტოში გაფორმდა. ოქმი განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს სათბურის აირების ატმოსფეროში გაფრქვევის კონკრეტულ ლიმიტებს უწესებს. მიზანი ატმოსფეროში სითბური აირების კონცენტრაციის იმ დონეზე შენარჩუნებაა, რაც დედამიწის კლიმატს საფრთხეს არ შეუქმნის.

ოქმი უკვე 192 ქვეყანაშია რატიფიცირებული. გამონაკლისს შეერთებული შტატები წარმოადგენს. საქართველო კიოტოს ოქმს 1999 წელს შეუერთდა.

გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატის ცვლილებები გამოიწვევს მთელ რიგ საფრთხეებს, კერძოდ:

- შეიცვლება და გადაგვარდება ეკოსისტემები, შეიძლება გაქრეს უმრავლესობა;
- შეიცვლება ცხოველთა, მცენარეთა სახეობების გავრცელების არე/ან გაქრება;
- შეიცვლება კონკრეტულ რეგიონისათვის დამახასიათებელი კლიმატი;
- გახშირდება ბუნებრივი მოვლენები (წყალდიდობები, გვალვა, შტორმი და ქარიშხალი, გახშირდება ტყის ხანძრები);
- შეამცირება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე ნიადაგების გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ.
- აიწვევს ზღვის დონე;
- გართულდება ადამიანის ჯანმრთელობა;
- და ა.შ....

ეს მცირედი ჩამონათვალიც კი, ნათლად მიუთითებს, რომ გლობალური დათბობის შესაჩერებლად საჭიროა განხორციელდეს სათბურის გაზების შემცირებისა (შერბილება) და ადაპტაციის (შეგუება) ზომები, თუმცა აქტიური ქმედებები ჯერ მაინც არ შეინიშნება.

რა წარმოადგენს კლიმატის ცვლილების კონვენცია?

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, 90-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა მთელი რიგი სამთავრობათაშორისო კონფერენციები და შეხვედრები კლიმატის ცვლილების პრობლემებთან დაკავშირებით; მსოფლიოს მთავრობებმა დაიწყეს მზადება ჩარჩო კონვენციის მომზადებაზე და 1992 წლის 9 მაისს, რიო დე ჟანეროში, 154 სახელმწიფოს წარმომადგენელმა ხელი მოაწერა კლიმატის ცვლილების კონვენციას.



კონვენცია ძალაში შევიდა 1994 წლიდან. რაც იმას ნიშნავდა, რომ მსოფლიოს ლიდერებმა ერთხმად აღიარეს კლიმატის ცვლილება და დაიწყეს ერთობლივი ღონისძიებების გატარება მისი შერბილების მიზნით!

კლიმატის ცვლილების კონვენციის საბოლოო მიზანია მიაღწიოს ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციების სტაბილიზაციას იმ დონეზე, რომელიც არ დაუშვებს კლიმატურ სისტემაზე საშიშ ანთროპოგენურ ზემოქმედებას.

კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 1994 წელს!

მოყოლებული აქედან, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, საქართველოც აქტიურადაა ჩართული კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესში (მიუხედავად იმისა, რომ მისი წლიური ემისიების ჯამი მინიმალურია სხვა გიგანტ გამფრქვევ ქვეყნებთან, მაგ: ჩინეთთან შედარებით).

კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესში უდუდესი როლი აკისრია ალტერნატიული ენერჯიების სწორ და რაციონალურ გამოყენებას. რაც მეტად დაგნერგავთ და აქტიურად გამოვიყენებთ განახლებად ენერჯიას, მით უნფო მეტ სარგებელს მოვუტანთ გარემოს და დავაკმაყოფილეთ მსოფლიო საზოგადოების მოთხოვნებს.

რუსუდან სიმონიძე
საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის
მეგობრების თანათავმჯდომარე

მდგრადი ენერჯის განვითარება სოფლაზე

კლიმატის ცვლილების პროცესების შერბილებისა და ადაპტაციის მიმართულებით სწორი პოლიტიკის გატარებისათვის, აუცილებელია შესაბამისი ეროვნული მოქმედებათა გეგმების შემუშავება, რომელიც შეესაბამება ქვეყნის შესაძლებლობებსა და ითვალისწინებს ადგილობრივ თავისებურებებს. ამასთან დაკავშირებით კლიმატის ცვლილების ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული იქნა სპეციალური მექანიზმი ე.წ. NAMA (Nationally Appropriate Mitigation Actions) ქვეყნებისათვის მიზანშეწონილი კლიმატის შემარბილებელი ქმედებები-ემშქ, რომელიც მიზნად ისახავს განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევას, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი სხვადასხვა მასშტაბური და მაღალეფექტური პროექტების განხორციელების გზით და რომელთა შედეგებიც იქნება გაზომვადი, ანგარიშგებადი და დამოწმებული.

ემშქ-ს (NAMA) შექმნის მთავრი მიზანია, დახმარება აღმოუჩინოს იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებშიც გამოირჩევიან განსაკუთრებული აქტივობით კლიმატის ცვლილების შერბილების საკითხებში და ცდილობენ მოკლე ვადაში განახორციელონ მასშტაბური და მაღალეფექტური ინიციატივები.

ემშქ-ს (NAMA) ინსტრუმენტის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გარემოს დაცვის, ბუნების შენარჩუნებისა და ბირთვული უსაფრთხოების სამინისტროს (BMU) და ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ენერჯისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტს. შეთანხმება აღნიშნულ საკითხზე, შედგა 2012 წლის 6 დეკემბერს, გაეროს კლიმატის ჩარჩო კონვენციის ხელმომწერ მხარეთა შეხვედრის კონფერენციაზე დოკაში - ყატარის სამეფოში.

ეროვნულად მისაღები შერბილების ქმედებები (NAMA-ს) საშუალებას იძლევა განვითარდეს კომპლექსური მიდგომის პროექტები და იგი უზრუნველყოფს, როგორც ტექნიკური დახმარების გაწევას, ასევე შესაძლებლობების გასაძლიერებელი საქმიანობების დაფინანსებას (საგრანტო პროექტების სახით). დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალურად ქვეყნის საჭიროებისამებრ.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველომ 2013-2015 წლებში ევროკავშირის მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „სამოქალაქო ორგანიზაციების თანამშრომლობა მთავრობასთან და სხვა დაინტერესებულ მხრებთან ეროვნულად მისაღები კლიმატის ცვლილების შერბილების ქმედებებზე - NAMA, სოფლად მდგრადი ენერჯის განვითარება“,

პროექტის მიზნები და ამოცანები

- კლიმატის შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, დაბალ ნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასასვლელად;
- დაინტერესებულ მხარებთან ერთად, NAMA-ს (ეროვნულად მისაღები შერბილების ქმედებები) შემუშავება მზის კოლექტორებისა და ენერგო ეფექტური ღუმელების დანერგვისათვის ტექნიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებისა და ადვოკატირებისათვის საჭირო პოლიტიკის განხორციელებით;
- ნიადაგის მომზადება სოფლად მაცხოვრებელი ოჯახებისა და მცირე და საშუალო მეწამეებისათვის მზის კოლექტორებისა და ენერგო ეფექტური ღუმელების დასამონტაჟებლად (10,000 ერთეული) ადვილად ხელმისაწვდომი ინვესტიციების დანერგვით; MVR (საზომი, ანგარიშგება და შემოწმების) მექანიზმების განვითარება;
- ადგილობრივ თემებში ალტერნატიული და დაბალემისიური ტექნოლოგიების დაინერგვა, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეო-

ბის გაუმჯობესება, ტრადიციული ენერგო-მატარებლების ჩანაცვლების გზით და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე ხელშეწყობით

პროექტით განაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ განხორციელდა სხვადასხვა საქმიანობები:

- შეხვედრები საერთაშორისო დონეზე;
- შეხვედრა საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებთან;
- შეხვედრები 5 რეგიონის სამხარეო სტრუქტურების ხელმძღვანელობასთან და ამ რეგიონების მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან, სოფლების რწმუნებულებთან. საკითხით დაინტერესებულ მოსახლეობასთან;
- დედაქალაქში და სამიზნე რეგიონებში, შეხვედრები არასამთავრობო სექტორთან, ექსპერტებთან, სპეციალისტებთან და ჟურნალისტებთან;
- გაიმართა სწავლებები სამიზნე რეგიონის ოსტატებისათვის მზის წყალგამაცხელებელების დამზადებასა და დამონტაჟებაში: ენერგოეფექტური ღუმელების დამზადებაში;
- მოეწყო მედია ტრენინგები სამიზნე რეგიონების მასმედიის წარმომადგენელთათვის;
- გამოიცა საინფორმაციო მასალები;
- მოეწყო რადიო და ტელეგადაცემები;
- დაიბეჭდა საგაზეთო სტატიები;
- გავრცელდა ინფორმაციები სოციალური ქსელებით;
- სამიზნე რეგიონებში სადემონსტრაციოდ დამონტაჟდა 50 მზის წყალგამაცხელებელი და 50 ენერგოეფექტური ღუმელი;
- ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვები და გამოვლინდა პოტენციური ბენეფიციარები სამიზნე რეგიონებში.

მომზადდა ნიადაგი რათა საქართველოში განხორციელდეს ემშქ (NAMA) მასშტაბური პროექტი, რომლის განხორციელებისას:

რეგიონების სოფლებში 2021 წლისათვის დაიდგმება 15 000 მზის წყალგამაცხელებელი და ენერგო ეფექტური ღუმელი და გაკეთდება 15 000 სახლის ენერგო ეფექტური იზოლაცია; ხოლო 2030 წლისათვის მათი რიცხვი სავარაუდოდ მიაღწევს 60 000, შედეგად შემცირდება CO₂ - ის ემისია, მინიმუმადე დავა ტყის დეგრადაცია, სოფლის მოსახლეობას შეუმცირდება ენერგო სიღარიბე, გაიზრდება კომფორტი, მოეწყო საწარმო მზის წყალგამაცხელებლებისათვის, შეიქმნება სამუშაო ადგილები.

გარდა ამისა, მომზადდა (NAMA) პროექტი „გენდერ-მგრძობიარე ემშქ NAMA სოფლად მდგრადი ენერგეტიკისათვის“; რომელიც განთავსდა <http://www4.unfccc.int/sites/nama/SitePages/Home.aspx>

აღნიშნული პროექტი საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები საქართველომ, გახორციელა საქართველოს 5 რეგიონში (კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო) პარტნიორ ორგანიზაციებთან: საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია “სემა”, სოფლად თემთა განვითარების სააგენტო, საზოგადოების განვითარების ახალციხის ცენტრი, „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის (WECF) თანამშრომლობით და საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით.

რუსუდან სიმონიძე
საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების თანათავმჯდომარე

**განახლებადი ენერჯის წყაროები
და ამ ენერჯის გამოყენების მდგომარეობა საქართველოში**

ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფა, მდგრადი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის და საიმედო ენერგეტიკული ბაზრების არსებობა, საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს.

ენერჯია წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური განვითარების აუცილებელ წინაპირობას.

ენერგეტიკული მდგრადობა ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი და საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი თემაა.

შესაბამისად, სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას და პასუხისმგებლობას წარმოადგენს ენერგოსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც მთელი სახელმწიფოს, ასევე ინდივიდუალური მომხმარებლების დონეზე, მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში ხელმისაწვდომ ფასად და სტანდარტული ხარისხით.

ამ თემას ეძღვნება ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევები, ტექნოლოგიური პროექტები, პოლიტიკური ინტერესები და სხვა. იგი წარმოადგენს მსხვილი ბიზნესინტერესებისა და მასშტაბური კონფლიქტების, თვით საომარი მოქმედებების საგანსაც კი.

ენერგეტიკის სფეროებში უმსხვილესი კაპიტალის დაბანდებას ორი ძირითადი მიზანი გააჩნია - რაც შეიძლება მეტი ენერგორესურსის კონტროლი და ბაზრის მონოპოლიზება.

ეს ორივე ფაქტორი, განსაკუთრებით კი მეორე, მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს განახლებადი ენერჯიების ეფექტურად გამოყენებას, რადგანაც ძნელია გააკონტროლო თუნდაც მზის ენერჯის გამოყენება.

ბოლო 2 საუკუნის განმავლობაში კაცობრიობა იმდენად დამოკიდებული გახდა ნავთობპროდუქტებიდან მიღებულ ენერჯიაზე, რომ ყველა დანარჩენმა შეიძინა „ალტერნატიული“-ს სტატუსი.

რას წარმოადგენენ „ალტერნატიული“ ენერგორესურსები: ესენია-მზის, ჰიდრორესურსების (ძირითადად მდინარეების), ქარის, გეოთერმული და ბიომასის ენერჯიები.



ცხადია, რომ „ალტერნატიული“ მათ ეწოდათ ბაზრის კონიუნქტურიდან გამომდინარე. გაცილებით სამართლიანი და ზუსტი შინაარსის მატარებელი იქნება მათთვის „განახლებადი ენერჯიების“ სტატუსის მინიჭება, რადგანაც, გონივრული მოხმარების შემთხვევაში, ისინი აღიდგენენ პირვანდელ მდგომარეობას და პრაქტიკულად ამოუწურავია მათი პოტენციალი.

ნავთობის და ნავთობპროდუქტების რესურსების შემცირების პარალელურად იზრდება განახლებადი ენერჯიების ეფექტურად გამოყენების აქტუალობა.

ბევრმა ქვეყანამ ადრეულად აულო ალლო და უკვე 2000 წლის მიჯნაზე გერმანიაში, აშშ-ში, მექსიკაში, ესპანეთსა და ბევრ სხვა ქვეყანაში ფრიად მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობდა მზისა და ქარის ენერჯიების ასათვისებლად.

სულ 10-15 წლის განმავლობაში მათ მოახერხეს, რომ მთლიან ენერგეტიკულ ბალანსში 20%, ხოლო ზოგან უფრო მეტიც გენერირებულია მზისა და ქარის ენერჯის ხარჯზე. რა ხდება საქართველოში?

საქართველოში, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე საკმარისია ქვეყნის ჰიდროპოტენციალის ათვისება და მიტოვებულია როგორც მზისა და ქარის, ასევე გეოთერმული და ბიოენერგეტიკული რესურსების ამოქმედების თემა.

ეს მიდგომა აშკარად მცდარი და უცნაურია.

საქართველოში, სადაც მზიანი დღეების რაოდენობა წელიწადში 250-დან 280-მდე მერყეობს, სადაც უზარმაზარი გეოთერმული რესურსებია თავმოყრილი, სადაც ენერგეტიკული მიზნებისათვის ვარგისი საკმაოდ დიდი ქარის პოტენციალია და ქვეყანაში, სადაც 3 მილიონ ჰექტრამდე ტყით დაფარული ფართობია (იქ სადაც 2 და 3 მოსავლის (მწვანე მასის) მიღებაა შესაძლებელი), მცდარად და უცნაურად კი არა, დანაშაულად მიმაჩნია ამ რესურსების გამოყენებაზე უარის თქმა და მილიარდობით ლარის ხარჯვა ბუნებრივი გაზის შესაძენად, რათა ამ გაზით ელექტროენერჯია მიიღო.



ცხადია, რომ ჩვენი ორგანიზაცია, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, ამინდს ვერ შექმნის განახლებადი ენერჯიების ათვისების მასშტაბით, მაგრამ ჩვენ უკვე 10 წელია ჯიუტად ვაგრძელებთ ამ თვალსაზრისით მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებას და სამოდერნო პროექტების განხორციელებას.

ჩვენს პარტნიორებთან ერთად სოფლად დასახლებული მოსახლეობისათვის უკვე დამზადებული გვაქვს 350-ზე მეტი მზის კოლექტორი და ასევე წარმატებით ფუნქციონერებენ ისინი მესაკუთრეთა სასარგებლოდ.

ჩვენ, უაღრესად მწირი ფინანსური რესურსებით, შევძელით, რომ ჩვენი დამზადებული მზის კოლექტორები ყოველდღიურად, სრულიად უფასოდ და ატმოსფეროს დაუბინძურებლად აცხელებენ 50 ტონაზე მეტ წყალს, ხოლო ზაფხულში 100 ტონასაც კი.

მივალწიეთ, რომ მოჭრასა და დაწვას გადავარჩინეთ ყოველწლიურად 1000 კუბ.მ.-ზე მეტი ჯანსაღი ხე (300-500 ჰექტარის ტყის ნაწილი).

ენერგომატარებლების მიმართ ზერელე და ზედაპირული დამოკიდებულება არ არის ჩვენი „ერთადერთი ნაკლი“.

ჩვენ დაუდევრად და უპასუხისმგებლოდ ვიყენებთ იმ ენერჯიასაც, რომელსაც მოვიხმართ.

ჩვენს მიერ, დახარჯული 1 კილოვატ ენერჯიით, მიღებული სარგებელი 5-6-ჯერ ჩამოუვარდება ევროპაში მიღებული სარგებელს.

ჩვენთან უაღრესად დაბალია ენერჯიის მოხმარების კულტურა და ენერგოეფექტურობა.

მიმაჩნია, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას შესაბამისი სამთავრობო პროგრამა, სადაც ინსტიტუციური გადაწყვეტების გარდა მომზადდება კანონი მზის, ქარის, გეოთერმული და ბიო ენერჯიების ეფექტურად გამოყენების შესახებ.

სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ნოვაციების და ბიზნესინტერესების სტიმულირება, აგრეთვე მოსახლეობის ინფორმირებისა და ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით სპეციალური პროგრამის შემუშავება.

ჩვენი მოსაზრებების რეალიზაციას, ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს განვითარების ისეთი პრიორიტეტებისთვის, როგორებიც არის: სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრიორიტეტები.

ავთო გელაძე
საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის
მეგობრების აღმასრულებელი საბჭოს წევრი
ენერგეტიკის სფეროს კოორდინატორი

ახალი გარემოსდაცვითი ინიციატივა სამეგრელოს რეგიონში

"ადგილობრივი თემების მონაწილეობით ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და ჯონსონის რეგიონში ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში"

2012–2013 წლებში საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს ბიომრავალფეროვნების ჯგუფმა, სამეგრელოს რეგიონში განახორციელა საპილოტე პროექტი - სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების გზით ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და ისეთი სენსიტიური უბნების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებენ აუცილებელი დაცვითი ღონისძიებების გატარებას. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში გამოვლინა არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორები და შეიმუშავდა შესაბამისი დაცვითი რეკომენდაციები, სადაც ხაზგასმულია, მიღებული გამოცდილების გაზიარების აუცილებლობა ადგილობრივი თემებისთვის და ისეთი ახალი ინიციატიური მიდგომების დანერგვა, სადაც უპირატესობა მიენიჭება დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივ ქმედებებს, თემების ჩართულობას და გადაწყვეტილების მიღების კოორდინირებულ მიდგომებს.



საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე 2015 წელს შვეიცარიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის რო- ატურა/დედამიწის მეგობრები - შვეიცარიის ფინანსური მხარდაჭერით გაგრძელდა აღნიშნულ პროექტზე მუშაობა.

დღეისათვის პროექტი ხორციელდება სამეგრელოს 7 მუნიციპალიტეტის 21 სამიზნე თემში და მიზნად ისახავს მაღალკონსერვაციული ჰაბიტატების კონსერვაციაზე ხელშეწყობას, ადგილობრივი სამიზნე თემების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პრაქტიკის დანერგვითა და საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების გაუმჯობესების გზით.

პროექტს თითოეულ რეგიონში ყავს ადგილობრივი კოორდინატორი, რომლებიც ადგილებზე ორგანიზებას უკეთებენ დაგეგმილ საქმიანობებს და მუშაობენ მოსახლეობასთან.

- პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კომპლექსური აქტივობები, მათ შორის:
- გამწვანებისა და დასუფთავების აქციები;
 - დეგრადირებული ტყეების ფრაგმენტებისა და ქარსაცავი ზოლების აღდგენითი სამუშაოები;
 - ალტერნატიული, ეკოლოგიურად გამართლებული აღდგენადი ენერგო-ტექნოლოგიების დემონსტრირება;
 - სამეცნიერო-კვლევითი და ცნობიერების ასამაღლებელი სამუშაოები;

პროექტის ერთ-ერთი სტრატეგიული პარტნიორია გარემოს დაცვის სამინისტრო მასზე დაქვემდებარებული სხვადასხვა უწყებებით.

საწყის ეტაპზე, პროექტის დეტალურად გაცნობის მიზნით, პროექტის განმასრუცილებელი ჯგუფის მიერ ჩატარდა საგანმანათლებლო შინაარსის სემინარები და შეხვედრები, შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან:

- მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობების წარმომადგენლები;
- ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის რესურსცენტრების წარმომადგენლები;
- სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები;
- ადგილობრივი დაინტერესებული მოსახლეობა.

ბიომრავალფეროვნების ექსპერტებმა მათ მიაწოდეს ინფორმაცია სამეგრელოს რეგიონის ბიომრავალფეროვნების პოტენციალზე და მის გონივრულ მართვაზე.



პროექტისის ამოცანებიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე:

- სკოლებში შეიქმნა საკონსერვაციო ბაღები;
- რამდენიმე მუნიციპალიტეტში შეირჩა და ნაწილობრივ გაშენდა ქარსაცავი ზოლები;
- მოხდა რეგიონში დეგრადირებული ტყეების აღწერა;
- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, საძოვრების მდგრადი მართვის დანერგვის მიზნით, შეირჩა სამიზნე ტერიტორიები

ამ დროისთვის იშვიათი და ენდემური სახეობების მონაცემთა ბაზის სრულყოფისა და ტყის არამერქნული რესურსების შესწავლის მიზნით, მზადდება სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც შეისწავლის სამეგრელოს რეგიონში არსებული ბიომრავალფეროვნების მდგომარეობას, განსაზღვრავს მისი მდგრადი გამოყენების პირობებს და გამოიკვლევს მნიშვნელოვანი ეკოსისტემების შენარჩუნების და გადარჩენის მიზნით მათი კონსერვაციის შე.საძლებლობებს.

მარინა ჟორდანია
მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების დარბაზის წევრი
ბიომრავალფეროვნების კოორდინატორი

ვებგვერდი, 04/08/2015
სარეგისტრაციო კოდი
360160000.22.023.016334

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრის
ბრძანება №211
2015 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი**

**კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის
დამტკიცების შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ნარჩენების მართვის კოდექსი“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების თანდართული წესი.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრი

გიგლა აგულაშვილი

კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული პირების მიერ ნარჩენების მართვის გეგმის (შემდგომში – გეგმა) შემუშავების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (შემდგომში – სამინისტრო) წარდგენის, განხილვისა და შეთანხმების პროცედურებსა და პირობებს.
2. გეგმა უნდა აკმაყოფილებდეს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებს და შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.
3. გეგმა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს. წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის და დამუშავების პროცესში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში უნდა განახლდეს გეგმა და განხილვისა და შეთანხმების მიზნით წარედგინოს სამინისტროს.
4. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც ნარჩენების მართვის კოდექსის (შემდგომში – კოდექსი) მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ტერმინებს.

მუხლი 2. რეგულირების სფერო

- ეს წესი ვრცელდება ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე (შემდგომში – დაინტერესებული პირი), რომელთა საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში წარმოიქმნება:
- ა) 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი;
 - ბ) 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი;
 - გ) ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი.

მუხლი 3. გეგმის შინაარსი

1. გეგმა შედგება შესავალი, აღწერილობითი და დასკვნითი ნაწილებისაგან.

2. შესავალი ნაწილი უნდა შეიცავდეს დაინტერესებული პირის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სრული სახელწოდება;
- ბ) სამართლებრივი ფორმა;
- გ) იურიდიული მისამართი, მათ შორის, ფილიალის/წარმომადგენლობის მისამართი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- დ) რეგისტრაციის თარიღი;
- ე) საიდენტიფიკაციო ნომერი;
- ვ) ხელმძღვანელის და გარემოსდაცვითი მმართველის სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- ზ) საქმიანობის დეტალური აღწერა.

3. აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს წლის განმავლობაში წარმოქმნილი თითოეული სახეობის ნარჩენების შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ნარჩენის კოდი და დასახელება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ მთავრობის დადგენილების შესაბამისად;

- ბ) ფიზიკური მდგომარეობა;
- გ) ნარჩენების რაოდენობა;
- დ) სახიფათო ნარჩენის შემთხვევაში - მისი განმსაზღვრელი მახასიათებელი, კოდექსის III დანართის შესაბამისად.

4. დასკვნითი ნაწილი უნდა შეიცავდეს ნარჩენების მართვის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

- ა) ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განსახორციელებელ ღონისძიებები;
- ბ) წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვების და ტრანსპორტირების მეთოდები;
- გ) სეპარირების მეთოდის აღწერა, განსაკუთრებით - სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევების შესახებ;
- დ) წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები;
- ე) ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით – კოდექსის I და II დანართების მიხედვით;
- ვ) სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების ღონისძიებები;
- ზ) იმ პირის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც გადაეცემა ნარჩენები შეგროვების, ტრანსპორტირების ან/და დამუშავების მიზნით, შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მონაცემების მითითებით.

5. თუ გეგმა გათვალისწინებულია ერთ წელზე მეტი ვადით, ნარჩენების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეთითოს წლების მიხედვით, ცალ-ცალკე, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

6. გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში სამინისტრო უფლებამოსილია მოითხოვოს სხვა დამატებითი ინფორმაცია ან/და მისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. გეგმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

1. გეგმა შემდგომი განხილვისა და შეთანხმების მიზნით, სამინისტროს წარედგინება ელექტრონული ფორმით, სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის www.moe.gov.ge მეშვეობით. სამინისტრო განიხილავს წარმოდგენილ გეგმას და თანხმობის შემთხვევაში წერილობით აცნობებს დაინტერესებულ პირს მისი შეთანხმების შესახებ.

2. გეგმის განხილვისა და შეთანხმების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.

3. იმ შემთხვევაში, თუ გეგმა ან/და თანდართული დოკუმენტები არ შეიცავს ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას ან/და წარმოდგენილია მითითებულ მოთხოვნათა დარღვევით ან/და არ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სამინისტრო წერილობით აცნობებს დაინტერესებულ პირს აღნიშნულის თაობაზე და შენიშვნების გათვალისწინებისთვის განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ

არაუმეტეს 30 დღისა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ჩერდება ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება.

4. თუ დაინტერესებული პირი ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენს დაზუსტებულ გეგმას ან/და შესაბამის დოკუმენტაციას, სამინისტრო წარმოდგენილ გეგმას დატოვებს განუხილველად.

5. სამინისტრო უფლებამოსილია მოაწყოს გეგმის განხილვა დაინტერესებულ პირთან ერთად. გეგმის განხილვისას ასევე შესაძლებელია მოწვეულ იქნეს იმ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, სადაც დაინტერესებული პირი საქმიანობას ეწევა.

6. მოთხოვნის შემთხვევაში გეგმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს კოდექსით უფლებამოსილი პირებისთვის.

ნარჩენების მართვაში საჯირო სხვადასხვა სახარონმდებლო ბაზა

- საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №159, 2016 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი, „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №421, 2015 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი, „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №422, 2015 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი, ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №160, 2016 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი, „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №426, 2015 წლის 17 აგვისტო ქ. თბილისი, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №143, 2016 წლის 29 მარტი ქ. თბილისი, „ტექნიკური რეგლამენტის – „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №144, 2016 წლის 29 მარტი ქ. თბილისი, „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №145, 2016 წლის 29 მარტი ქ. თბილისი, „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.



პროექტს - „დაფასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2), ახორციელებს არასამთავრობო



ორგანიზაციათა კონსორციუმი – „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოვიჟენი“ და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით.

რედაქტორი: ლელა ყაჭეიშვილი
 გამოცემაზე მუშაობდნენ: ლელა ყაჭეიშვილი, მაია კაპანაძე
 დიზაინი: ირაკლი გულედანი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო

საქართველო, თბილისი, მუხაძის ქ. №16, 0162
 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2233740; ელ-ფოსტა: info@greens.ge
 Web-გვერდი: www.greens.ge www.cleanup.ge